

ცირკულარული ეკონომიკის პროგრამა საქართველოში ცირკულარობის შეფასება საქართველოში

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა წარმოებისა და მოხმარების მეთოდების ძირფესვიან ცვლილებას საჭიროებს. ცირკულარ ეკონომიკაში პროდუქტები იმგვარად იქმნება, რომ იყოს გამძლე, შესაძლებელი იყოს მათი მოდერნიზაცია, შეკეთება და ხელახლა გამოყენება; ამასთან, ხმარებიდან ამოღების შემდეგ გათვალისწინებულია მათ დასამზადებლად გამოყენებული მასალების მეორადი გამოყენება. მოხმარების ფაზაზე პროდუქტები იმგვარად იმართება, რომ მათი მოხმარების ეფექტიანობა მაქსიმალურად გაიზარდოს და ექსპლუატაციის ვადა გახანგრძლივდეს, რითაც მათი ღირებულების შენარჩუნება შეძლებისდაგვარად დიდხანს ხდება. ეს იმ კომპანიებმა შეიძლება მოახერხონ, რომლებსაც შემუშავებული აქვთ ახალი ბიზნეს-მოდელები, რომელშიც შემოსავლის მიღება ხდება მომსახურებიდან და არა საქონლიდან, რესურსები უფრო ეფექტიანად მოიხმარება და/ან ხმარებიდან ამოღებული საქონელი თუ მასალები ახალ ღირებულებას იძენს; მომხმარებლები კი საქონელს იყენებენ ეფექტიანად და იმგვარად იცილებენ, რომ შესაძლებელი იყოს მათი ხელახლა გამოყენება, ხოლო თუ ასეთი რამ ტექნიკურად შეუძლებელი ან ეკონომიკურად გაუმართლებელია - გადამამუშავებელი ობიექტები მათ მეორად მასალებად გარდაქმნიან, რომლებიც ახალ საწარმოო ციკლში შეიძლება ჩაეშვას. ამისათვის საჭიროა მთელი სისტემის მხარდაჭერა, დაწყებული ხელშემწყობი ტექნოლოგიებითა და ინფრასტრუქტურით და დამთავრებული ღირებულებათა ჯაჭვის რგოლებსა თუ სხვადასხვა ჯაჭვებს შორის თანამშრომლობის ხელშემწყობი საბაზრო სტრუქტურით, ასევე მმართველობის ფორმითა და რეგულაციებით, რომლებიც კომპანიებს წახალისებს ცირკულარული მიდგომები სოციალურ ნორმად აქციონ, რის შედეგადაც საზოგადოება ცირკულარულ წარმოება-მოხმარებას მიანიჭებს უპირატესობას.

ახლახან საქართველო ცირკულარული ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარებულ გზას დაადგა და მისი ძირითადი ამოცანაა 'სასიცოცხლო ციკლის დასრულების' კონცეფცია ჩაანაცვლოს ისეთი ეკონომიკური სისტემით, სადაც მასალების ციკლები ჩაკეტილია. მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აკადემიური სექტორისა და საერთაშორისო პარტნიორების შეთანხმებული ძალისხმევით, საქართველომ დაიწყო ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიისა და გზამკვლევის შემუშავება, რომელთა მიზანია ყოვლისმომცველი მიდგომის გამოყენება მრავალი მიმართულებით, რომლებიც მოიცავს წარმოებას, მოხმარებას, ნარჩენების მართვას, მეორად ნედლეულს, ინოვაციებს, ინვესტიციებს, ასევე სხვადასხვა სფეროებში მიმდინარე პროექტებს, რომლებსაც სხვადასხვა დარგებში, სხვადასხვა მოთამაშეები ახორციელებენ და ღირებულებათა ჯაჭვის სხვადასხვა რგოლს განეკუთვნება, ან განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იმყოფება.

ცირკულარობაზე დაჩქარებული გადასვლის პროცესის პირველი ნაბიჯია საქართველოს ეკონომიკის ცირკულარობის დონის შესწავლა და ცირკულარული ეკონომიკის სტრატეგიისათვის რეკომენდაციების შემუშავება. ეს საქმიანობა უკვე დაწყებულია ცირკულარული ეკონომიკის მიმდინარე პროგრამის ფარგლებში, რომელსაც საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე ფარგლებში, შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ახორციელებს.

ამ მიმართულებით მთავარი ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტებისგან შექმნილი გუნდისა და საქართველოს მთავრობის

წარმომადგენლებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, რათა დადგინდეს ცირკულარობის არსებული დონე, განისაზღვროს ცირკულარული ეკონომიკის ეროვნული პოლიტიკის სათანადო რაოდენობრივი სამიზნე მაჩვენებლები და ცირკულარული მიზნები, გამოვლინდეს დარგობრივი შესაძლებლობები და განისაზღვროს დარგობრივი პოლიტიკის ვარიანტები, რის შემდეგაც შემუშავებული უნდა იქნას საქართველოს ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევი და სტრატეგია.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებას ხელმძღვანელობს ცირკულარული ეკონომიკის საერთაშორისო ექსპერტი, რომელსაც ეხმარებიან მდგრადი განვითარების საკითხების ადგილობრივი ექსპერტი და ადგილობრივი, ქართველი ექსპერტები, რომლებიც ღრმად არიან ჩახედულნი საქართველოს ეკონომიკის, გარემოს დაცვის, სოციალურ და მმართველობის საკითხებში. ამას გარდა, საქართველოს მთავრობამ ჩამოაყალიბა უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, რათა მასში ცოდნის ფართო სპექტრი იყოს წარმოდგენილი და საკვანძო უწყებები ადრეულ ეტაპზე ჩაერთონ პროცესში. პროექტის პირველი, სასტარტო შეხვედრა გაიმართა 2021 წლის 23 აპრილს. ორთავე ჯგუფის ექსპერტების მომდევნო, გეგმიური შეხვედრა გათვალისწინებულია 2021 წლის 1 ივლისს.